ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

სკოლა: სსიპ ქალაქ ხობის N1 საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ქეთევან გაბისონია

საგანი: ბიოლოგია

კლასი: VIII კლასი

გაკვეთილის თემა : ,, თამბაქოს წევის მავნე გავლენა ორგანიზმზე“

სასწავლო მიზანი:

- დარგობრივი ტექსტის კითხვა (გაგება, გაანალიზება) - თამბაქოს წევის მავნე გავლენა ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ფუნქციონირებაზე.
- ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (დარგობრივი წერილობითი და მოსასმენი ტექსტი) მსჯელობა და არგუმენტირება.
- კომუნიკაციის და თანამშრომლობის , კრიტიკული, ანალიტიკური საზროვნო უნარების განვითარება.

მედიაწიგნიერების მიზნები:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაიის შეფასება.
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- მედიაპროდუქტის შექმნა.

2019

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

სტომატიტი- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება.

გინგივიტი - ღრძილების ანთება.

ათეროსკლეროზი - ქრონიკული დაავადებაა, რომლის დროსაც არტერიის კედლები სქელდება და ეშვება, სანათური ვიწროვდება და სისხლის მიმოქცევა ძნელდება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსები : პოსტერი (https://www.pinterest.ru/pin/231020655856635827/)

ვიდეო რგოლი (https://www.youtube.com/watch?v=NSETW_zO9jc) ,

ადაპტირებული საკითხავი მასალა (https://alekocecxladze.wordpress.com/page/6/)

კომპიუტერი, პროექტორი, ფლიფჩარტი, მარკერები

აქტივობა N1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, კლასის ორგანიზების ფორმებს, მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც მათ მოუწევთ მუშაობა , შეფასების რუბრიკებს.

აქტივობა N2. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკრანზე უჩვენებს პოსტერს https://www.pinterest.ru/pin/231020655856635827/ და სვამს შეკითხვებს:

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

კითხვები	**სავარაუდო პასუხები**
1. რის შესახებაა რეკლამა , რა ინფორმაცია ჩანს ან იგულისხმება? 2. როგორ ფიქრობთ, ვის მიერ შეიქმნა ეს რეკლამა? 3. თქვენი აზრით, რატომ შეიქმნა, ვინ შეიძლება იყოს სამიზნე	1. სიგარეტის რეკლამაა. მოწოდება: ,,ყოველთვის იყიდეთ ჩესტერფილდი“ 2. სიგარეტის მწარმოებელი კომპანიის მიერ 3. შეიქმნა სიგარეტის რეკლამისათვის, სამიზნე აუდიტორია შეიძლება იყოს სხვადასხვა ასაკის ორივე სქესის

2019

აუდიტორია? 4. ვინ შეიძლება ისარგებლოს და დაზიანდეს ამ სარეკლამო პლაკატით?	ადამიანი 4. ამ გზავნილით ისარგებლებს კომპანია, ზიანი მიადგეთ ბავშვებს, შეიძლება გაუჩნდეთ ინტერესი სიგარეტის მიმართ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს.

სამუშაო ფურცელი N 1

- წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები. რამდენიმე მათგანი პოსტერის აღსაწერად შეიძლება გამოვიყენოთ.

მონიშნეთ, რა ჩანს პოსტერზე?

დედისა და შვილის ბედნიერი სახეები	☐
მწეველი მამა, რომელიც ექიმთან მიდის	☐
დედის საზეიმო ჩაცმულობა	☐
სიგარეტის ნამწვავები	☐
მკვეთრი, საზეიმო ფერები	☐
წითელი ლენტით შეფუთული სიგარეტის კოლოფი	☐
მწეველი, რომელიც ახველებს	☐
სიგარეტის კვამლით შეწუხებული ოჯახის წევრები	☐

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

- **დააკვირდით იმ ფრაზებს, რომლებიც წინა დავალებაში არ მონიშნეთ. რა შეიძლება ვთქვათ მათზე?**

ამ კითხვის სავარაუდო პასუხებია: *ეს ინფორმაცია არ არის მართალი, ეს ინფორმაცია განგებ არ არის ნაჩვენები, რეკლამის ავტორს რომ ეს ინფორმაცია ეჩვენებინა, მნახველს ნაკლებად ექნებოდა სიგარეტის ყიდვის სურვილი, ეს ინფორმაცია სიგარეტის გაყიდვის შესამცირებლად საგანგებოდ არის მოგონილი*

- **იმუშავეთ წყვილებში.**

ა. მოიფიქრეთ ორი არგუმენტი იმის თაობაზე, უნდა ვენდოთ თუ არა რეკლამებში მოცემულ ინფორმაციას.

რეკლამებს ბრმად არ უნდა ვენდოთ, რადგან ----------

აქტივობა N3 . მასწავლებლი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით კლასს ყოფს 4 ჯგუფად. მოსწავლეებს ურიგებს ტექსტს **,, თამბაქოს წევის მავნე გავლენა ორგანიზმზე“** და სამუშაო ფურცლებს (სამუშაო ფურცელი N2).

საკითხავი მასალა

,, თამბაქოს წევის მავნე გავლენა ორგანიზმზე“ .

თამბაქოს ბოლში 4000-მდე ნივთიერება შედის, მათგან მიჩვევას მხოლოდ ნიკოტინი იწვევს. დასაწყისში ნიკოტინი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულირებას და მწეველი გრძნობს ენერგიის მოზღვავებას.დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემდეგ მოწევის შეწყვეტა იწვევს შფოთვას, გუნება-განწყობის დაქვეითებას, კონცენტრაციის უნარის შეზღუდვას.

ცნობილია, რომ თამბაქოს წევის პროცესში წარმოქმნილი ნივთიერებები მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ყველა ორგანოზე და, შესაბამისად, ყველა სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

თამბაქოს კვამლის შესუნთქვისას ზიანდება კბილის მინანქარი, რაც იწვევს კარიესის გაჩენას, კბილები ყვითლდება, ხშირად ვითარდება სტომატიტი და გინგივიტი.

თამბაქოს წევა იწვევს სისხლძარღვულ ცვლილებებს. ნიკოტინის მოქმედების შედეგად ვიწროვდება სისხლძარღვები, მათ კედლებში წარმოქმნილი ცვლილებები კი ხელს უწყობს ათეროსკლეროზისა და სისხლძარღვთა

სისტემური დაავადების განვითარებას. ნიკოტინი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ადიდებს მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის კუნთის და ტვინის სისხლძარღვების დაავადების რისკს. კარდიოლოგთა მონაცემებით, თამბაქოს მწეველთა შორის მიოკარდიუმის ინფარქტით სიკვდილიანობა ორჯერ მეტია, ვიდრე არამწეველთა შორის.

თამბაქოს მწეველებში ბრონქებისა და ბრონქიოლების ლორწოვანი გარსის სისტემატური გაღიზიანება იწვევს მათ ქრონიკულ დაავადებებს, რაც ზოგჯერ მთავრდება ბრონქული ასთმის ჩამოყალიბებით. სამრეწველო საწარმოების გამონაყოფებით და ავტოტრანსპორტის მიერ გამონაბოლქვი აირებით დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის და ბოლის ერთდროული შესუნთქვაც, ცხადია, კიდევ უფრო ზრდის სასუნთქი სისქემის დაავადებათა სიხშირეს.

თამბაქოს წევის ერთ-ერთი ყველაზე საშიში შედეგია ფილტვის კიბოთი დაავადება. არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ფილტვის კიბოს დაავადების საშიშროება თამბაქოს მწეველთა შორის ოცჯერ მეტია, ვიდრე არამწეველებში. ფილტვის კიბოს გამომწვევ მიზეზად მიჩნეულია ნიკოტინის ფისში ე.წ. კანცეროგენული (კიბოს გამომწვევი) ნივთიერებისა და რადიაქტიური ელემენტის – პოლონიუმის შემცველობა.

დადგენილია, რომ მწეველთა შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი თითქმის ორჯერ მეტია. მოზრდილთა შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა 95% მწეველები არიან.

ნიკოტინის შხამი მოქმედებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე, უფრო მეტად კი თირკმელზედა ჯირკვლებზე. თირკმელზედა ჯირკვლები წარმოადგენს წყვილ ჰორმონულ ჯირკვალს, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზმის ბევრ მნიშვნელოვან ფუნქციაზე. ისინი სისხლში გამოყოფს ისეთ საშუალებებს, ადრენალინი და ნორადრენალინი (კატექოლამინები). ისინი სისხლის გზით გადადიან სხეულის სხვადასხვა უბანში და ზემოქმედებას ახდენენ შინაგანი ორგანოების ნერვულ აპარატზე. ნიკოტინის მცირე დოზა კატექოლამინების გამოყოფას აძლიერებს, ხოლო დიდი დოზა კი ამცირებს მათ გამოყოფას. ამის შედეგად ნიკოტინის მცირე დოზა იწვევს არტერიული სისხლის წნევის დონის მომატებას, ხოლო დიდი დოზა კი გულ-სისხლძარღვთა მუშაობის დათრგუნვას. სწორედ ამით აიხსნება ნიკოტინით მწვავე მოწამვლის დროს სისხლძარღვებში წნევის მკვეთრი დაწევა, რაც იწვევს თავბრუსხვევას, გონების დაკარგვას და სიკვდილს. თამბაქოს წევის ნიადაგზე ავთვისებიანი სიმსივნე შეიძლება წარმოიქმნას აგრეთვე პირის ღრუში, ხახაში, ხორხში, საყლაპავ მილში, თირკმელში, შარდის ბუშტში. თამბაქოს მწეველების, – რომლებიც სისტემატურად ყლაპავენ ნერწყვს და მასში შემცველ თამბაქოს წვის პროდუქტებს, – კუჭში კანცეროგენული ნივთიერებაც ხვდება.

ნიკოტინი ნაადრევად უკარგავს მადას ადამიანს, ხელს უწყობს საჭმლის მონელების მოშლას, ვითარდება ვეგეტატიური დარღვევები – ძლიერდება კუჭის სეკრეცია. თამბაქოს მწეველებში კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება 2-3-ჯერ უფრო ხშირია.

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

ადაპტირებულია ბლოგზე განთავსებული სტატიის მიხედვით https://alekocecxladze.wordpress.com/page/6/ , ნანახია 2019 წლის 14 თებერვალს.

სამუშაო ფურცელი N2

- **წაიკითხეთ ტექსტი და მისი მთავარი იდეა შეადარეთ სარეკლამო პოსტერის მთავარ სათქმელს, მონიშნეთ ის მოსაზრებები, რომლებსაც ეთანხმებით:**

სარეკლამო პოსტერისგან განსხვავებით, ტექსტში განხილულია მოწევის როგორც დადებითი, ასევე - უარყოფითი შედეგები	
სარეკლამო პოსტერისგან განსხვავებით, ტექსტი მკითხველს მოწევის მავნე გავლენის შესახებ აფრთხილებს	
ტექსტში იგივე ინფორმაციაა მოცემული, რაც სარეკლამო პოსტერში	

- **შეავსეთ ცხრილი ტექსტში მოცემული ინფორმაციით:**

ორგანოთა სისტემა	**მავნე გავლენა ორგანიზმზე**
საჭმლის მომნელებელი სისტემა	
სისხლის მიმოქცევის სისტემა	
სასუნთქი სისტემა	
ენდოკრინული სისტემა	
ნერვული სისტემა	

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

- **ა. გადაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და მონიშნეთ, რომელი დაავადება იგულისხმება:**

ღრძილების ანთება:	
ტუბერკულოზი	
გინგივიტი	
ინფარქტი	
ფილტვების დაავადება:	
კარიესი	
ტუბერკულოზი	
ათეროსკლეროზი	
სტომატიტი	
ასთმა	

ბ. თქვენი პასუხები გადაამოწმეთ მასწავლებლის მიერ დარიგებულ უცხო სიტყვათა ჩამოანთვალში.

- **იმუშავეთ წყვილებში. შეიმუშავეთ არგუმენტები: იმ ორი მედიარესურსიდან (სარეკლამო პოსტერი და სტატია), რომელსაც გაეცანით, რომელია სანდო და რატომ?**

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ შეკრიბოს იდეები და დაფაზე ან დიდ ფურცელზე ჩამოწეროს. შემდეგ სთხოვოს მოსწავლეებს, დააჯგუფონ წარმოდგენილი იდეები, აირჩიონ ერთ-ერთი და მეწყვილესთან ერთად მოიფიქრონ არგუმენტი მის დასასაბუთებლად.

აქტივობა N4.

- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები, რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვა „ანტირეკლამა“ და შეიმუშაონ განმარტებები წყვილებში ან მცირე ჯგუფებში.

- მასწავლებელი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული ლექსიკონების (http://www.nplg.gov.ge/gwdict/) მეშვეობით მოაძებნინებს მოსწავლეებს სიტყვას „ანტირეკლამა“, მის ინგლისურ შესატყვისსა და განმარტებას. მოსწავლეები შეადარებენ მათ მიერ შემუშავებულ და ლექსიკონებში არსებულ განმარტებებს.

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს (სამუშაო ფურცელი N3) და ეკრანზე უჩვენებს ვიდეორგოლს https://www.youtube.com/watch?v=NSETW_zO9jc.

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

შენიშვნა: ეს აქტივობა ცალკე გაკვეთილის სახით შეიძლება ჩატარდეს ინგლისურის მასწავლებელთან ერთად.

სამუშაო ფურცელი N3

ნახეთ ვიდეოჩანაწერი და უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ შექმნა ვიდეოჩანაწერი?

სავარაუდო პასუხები: სიგარეტის მწარმოებელმა კომპანიამ, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციამ, სიგარეტის მწეველებმა და სხვ.

ბ. რატომ ფიქრობთ ასე? დაწერეთ, რა მიგანიშნებთ ვიდეოჩენაწერში თქვენი პასუხის სისწორეზე (სიმღერის ტექსტი, ადამიანების ქცევა და ა.შ., დააკონკრეტეთ).

.....

.....

2. დაფიქრდით, ვინ შეიძლება ისარგებლოს და ვინ - დაზარალდეს ამ ვიდეორგოლით. ქვემოთ მოცემულია იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელიც სიგარეტს უკავშირდება.

(ვინ შეიძლება ისარგებლოს? - ამ შეკითხვის პასუხი ჩამონათვალში აღნიშნეთ „+“ სიმბოლოთი; „ვინ შეიძლება დაზარალდეს?“ - ამ შეკითხვის პასუხი ჩამონათვალში აღნიშნეთ „-“ სიმბოლოთი.)

ვინ შეიძლება ისარგებლოს და ვინ - დაზარალდეს ამ ვიდეორგოლით.	
მწეველი ადამიანის ოჯახის წევრები	
სიგარეტის მწარმოებელი კომპანია	
თამბაქოს ჯიხურის მეპატრონე	

ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია	
მწეველი ადამიანი	
აგრომრეწველი, რომელსაც თამბაქო მოჰყავს	
მწეველი ადამიანების ნაცნობები, ნათესავები, თანამშრომლები	

3. მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ, რა საშუალებით ამბობს ვიდეორგოლის ავტორი მთავარ სათქმელს?

(გაიხსენეთ, რომ სიგარეტის სარეკლამო პოსტერის ავტორი სათქმელის გადმოსაცემად იყენებდა ხალისიან ფერებს, ადამიანის ბედიერ სახეებს და ა.შ.)

---

4. დაიყავით მცირე ჯგუფებად. გაინაწილეთ სიმღერის ტექსტი და ინგლისურის მასწავლებლის დახმარებით გადათარგმნეთ ქართულად. ისტ-ის მასწავლებლის დახმარებით ამ ვიდეორგოლს youtube-ზე დაამატეთ სუბტიტრები - სიმღერის თქვენ მიერ თარგმნილი ტექსტი.

შენიშვნა: *სამუშაო ფურცელი N3-ის ბოლო დავალება სარეკომენდაციო ხასიათისაა. ის შეიძლება 2 ნაწილად გაიყოს: 1. მოსწავლეებს საშინაო დავალებად ვაძლევთ ტექსტს თარგმანის მოსამზადებლად, რომელსაც შემდეგ ინგლისურის მასწავლებელი შეუსწორებთ; 2. ისტ-ის მასწავლებელი თავის გაკვეთილზე დაამატებინებს სუბტიტრებს.*

ავტორი: ქეთევან გაბისონია
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

აქტივობა N5. ,,დისნეის წრეები“

მოსწავლეები ჯგუფებში ირჩევენ : ,,მეოცნებეებს“, ,,კრიტიკოსებს“ და ,,რეალისტებს“. პირველად ,,სათამაშოდ“ გამოდიან ,,მეოცნებები“ სხდებიან წრეში, მაგიდაზე დევს.

ფლიფჩარტი რომლის ცენტრშიც დასმულია შეკითხვა; **,, როგორ ავარიდოთ თავი თამბაქოს მავნე გავლენას?“** ,,მეოცნებეებმა“ ამ კითხვაზე უნდა მოძებნონ იდეალური, პოზიტიური, ოპტიმისტური გადაწყვეტილება და თავიანთი პასუხები დაწერონ ფლიფჩარტზე.

ამის შემდეგ ,,კრიტიკოსები“ ფლიპჩარტს დაატრიალებენ წრეზე და ,,მეოცნებეების“ მიერ დაფიქსირებულ გადაწყვეტილებას გააკრიტიკებენ : რა არის ამაში სასიკეთო? ვინ და რატომ შეიძლება შეუშალოს ხელი იდეის რეალიზებას? რა არასასურველი ეფექტი შეიძლება დადგეს ? რა გამორჩათ? და ა.შ.

მესამე წრეზე შესული „რეალისტები“ ფლიფჩარტს ისევ დაატრიალებენ წრეზე, გაეცნობიან ყველა წინა გადაწყვეტილებას და თავიანთი მოსაზრების მიხედვით მიიღებენ ყველაზე რეალურ გადაწყვეტილებას, დასახავენ ოცნებების განხორციელების გზებს (უპასუხებენ კითხვაზე: რა უნდა გავაკეთოთ, რომ ისინი ცხოვრებაში განვახორციელოთ?) და როდესაც ყველა ჯგუფის „რეალისტი“ ამოწურავს შესაძლებლობებს, წრეს დატოვებენ.

რის შემდეგაც მასწავლებელი ფლიპჩარტს აკრავს დაფაზე და იწყება ნამუშევარის პრეზენტაცია .

(სასურველია ,,მეოცნებეების“, ,,კრიტიკოსებსი“ და ,,რეალისტების“ მიერ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ფერის მარკერები, რადგან ვიზუალურად ადვილად გასარჩევი გახდეს მათ მიერ შესრულებული ნამუშევარი)